უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 30

2019 წ. „23“ 08

ქ. თბილისი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის შესახებ

დაწესებულების მიერ სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის განაცხადში ასახული ინფორმაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (ს/კ: 204886454) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს მოეხსნას სტუდენტთა მიღების შეზღუდვა.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 23 აგვისტოს №12 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ირაკლი ხვთისიაშვილი